ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №882947

ნომერი: AR1156313

თარიღი : 20.08.2013

გაცემის თარიღი : 05.09.2013

გაცნობის თარიღი : 04.12.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის დასაწყისში, , ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ, (ნაკვ. 5/8) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოსო აბჟანდაძე პ/ნ 01024049189
- თბილისი ბუდაპეშტის ქ. N 15 ბ. 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2013 წლის 23 მაისის #693981 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

მოქალაქე სოსო აბჟანდაძემ 2013 წლის 20 აგვისტოს #AR1156313 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 23 მაისის #693981 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო ობიექტის ფუნქციასთან დაკავშირებით, კერძოდ: ობიექტის დასახელებაში მსუბუქი კონსტრუქციის სასაწყობე, ავტოტექმომსახურების და სასათბურე დანიშნულების ობიექტების დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ.

თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 23 მაისის #693981 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირის დასაწყისში, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.17.11.005.020; ფართობი: 7440.00 კვ.მ.) მსუბუქი კონსტრუქციის ობიექტის (სათბური) განთავსების მიზნით დამტკიცებული იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის2013 წლის23 მაისის #693981 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ის პარამეტრებით და პირობებით, სპეციალური ნებართვის საფუძველზე. ვინაიდან"ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს2009 წლის27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ფუნქცია– სამეურნეო ობიექტი და მისი ფუნქციონერებისთვის განკუთვნილი ადმინისტრაციული შენობა, საყოფაცხოვრებო სათავსები, სახელოსნოები, გარაჟები და საწყობები საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, საკითხი ხელმეორედ განიხილა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ(ოქმი#33, 22.08.2013წ.) და სპეციალური (ზონალური) ნებართვის მინიჭების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება , ხოლო მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი k1 განისაზღვრა0.5–ით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2013 წლის 23 მაისის #693981 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტის ფუნქციასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 23 მაისის #693981 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფუნქციად მიეთითოს: „მსუბუქი კონსტრუქციის სასაწყობე, ავტოტექმომსახურების და სასათბურე დანიშნულების შენობა–ნაგებობა“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 23 მაისის #693981 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.